

ფასიანი ქაღალდების ბაზარი ქვეყნის ეკონომიკის ბანკოთმართვაში

ნანა კოტეტიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირება-განვითარება უშუალო კავშირშია ინვესტიციების გაფართოებასთან, ეს უკანასკნელი კი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. ფასიანი ქაღალდების ბაზარი სრულყოფილი სახით განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის არის დამახასიათებელი. ასეთ ბაზარზე ჩვეულებრივი ბაზრის მსგავსად, არსებობს როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება და მათი გამაწონასწორებელი ფასები. მოთხოვნას აყალიბებენ ფასიანი ქაღალდების შეძენის მსურველნი, თავისუფალი დანაზოგის მქონე ინვესტორები, მოქალაქეები და ორგანიზაციები.

ფასიანი ქაღალდები უდიდეს როლს ასრულებენ ეროვნული ეკონომიკის აღორძინებაში. მისი მეშვეობით ხორციელდება საინვესტიციო პროცესი, თანაც ეს უკანასკნელი ისეა აგებული, რომ ინვესტიციები ავტომატურად მიემართება მეურნეობის ყველაზე ეფექტიან სფეროში. მას ღებულებენ ყველაზე მეტად სიცოცხლისუნარიანი საბაზრო სტრუქტურები. ფასიანი ქაღალდების ბაზარი წარმოადგენს როგორც ფულის ბაზარს, ასევე კაპიტალის ბაზრის სეგმენტს, რომლებიც აგრეთვე მოიცავენ პირდაპირი საბანკო კრედიტების მოძრაობას, ფულადი რესურსების გადანაწილებას სადაზღვევო დარგის მეშვეობით, შიდა საფირმო კრედიტებს და ა.შ.

ფინანსური ბაზარი ხელს უწყობს ქვეყნის ფულად რესურსებზე მოთხოვნა-მიწოდების ჩამოყალიბებას და ამავე დროს ხორციელდება მათი მოძრაობა კაპიტალით წარმოებრივი და არაწარმოებრივი ინვესტიციების დაფინანსების მიზნით. ფინანსური ბაზარი არის საბაზრო ინსტიტუტების ერთობლიობა, როდესაც ფულადი სახსრების ნაკადი მიედინება მესაკუთრეებიდან მსესხებლებისკენ. ფინანსური ბაზრის მეშვეობით წარმოებს ფულადი სახსრების გადაქაჩვა იმ პირებისგან, რომელთაც იგი არ ყოფნის. ფასიანი ქაღალდების ბაზრის როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში უდავოდ დიდია, რაც შემდგომში გამოიხატება: ფასიანი ქაღალდების ბაზარი ეკონომიკის ყველა სექტორისთვის ხელმისაწვდომს ხდის მათთვის

აუცილებელი ფულადი რესურსების მიღებას. ფასიანი ქაღალდი ყოველთვის განსაზღვრული საფონდო “ინსტრუმენტი”, მისი მეშვეობით შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს რეალური ფასეულობა ან უზრუნველყოფილი იქნეს მისი გადასვლა ერთი ობიექტიდან მეორეზე.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შექმნა და განვითარება საბაზრო ეკონომიკის აღმშენებლობის პროცესის მნიშვნელოვანი პირობაა. ამ ბაზრის მეშვეობით, სახელმწიფო სტრუქტურების ჩაურევლად ხორციელდება კაპიტალის კონცენტრაცია და იმ ინვესტიციებში მოქცევა, რომელიც დიდი შემოსავლის მომტანია ქვეყნებისათვის. ფასიანი ქაღალდების ბაზარი ხელს უწყობს კაპიტალის ყველაზე მეტად საჭირო მიმართულებით მოძრაობას. ამ მოძრაობის მექანიზმი ასეთია: იზრდება მოთხოვნა რაიმე საქონელზე, იზრდება მოგებაც წარმოებიდან. მომგებიანი დარგებისკენ ისწრაფვიან “თავისუფალი კაპიტალები”, რომლებიც ტოვებენ დარგებს, რომელთა საქონელზე მოთხოვნა მცირდება. ამ მექანიზმის მუშაობის უზრუნველყოფი საშუალებაა ფასიანი ქაღალდები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ფასიანი ქაღალდების ბაზრის როლი კიდევ უფრო იზრდება, რაც პირველ რიგში გამოიხატება თავისუფალი კაპიტალის პრობაციით, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი, “გადასროლილი” იქნება აუცილებელი მიმართულებით, რის შედეგადაც კაპიტალი განთავსდება იმ წარმოებებში, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებისათვის. ეს უკანასკნელი ხელს უწყობს საზოგადოებრივი წარმოების ოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას. შეიქმნება უდევფიციტო ეკონომიკა: საზოგადოებრივი წარმოება ძირითადად შეესაბამება საზოგადოების მოთხოვნას, რაც საბოლოოდ საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი უპირატესობის პირობას შეადგენს. ცალკე უნდა აღინიშნოს სახელმწიფოს როლი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირებაში. სახელმწიფო უწინარესად ქმნის საკანონმდებლო საფუძვლებს, რომლებიც არეგულირებენ სააქ-

ციო საზოგადოებათა შექმნისა და ფასიანი ქაღალდების გამოშვება-ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე “თამაშის წესებს” საერთოდ ბაზარზე და მათ შორის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. გარდა ამისა, მთავრობა ფასიანი ქაღალდების მიმოქცევაში გაშვებით თვითონ გამოდის ბაზარზე ეკონომიკურ ურთიერთობათ სუბიექტად. მას საფონდო ბირჟაზე ზემოქმედების სხვა მრავალი ბერკეტი გააჩნია. მაგალითად, კრედიტის ოპტიმალური გამოყენების წახალისებისათვის ცენტრალური ბანკი ბაზარზე შექმნილი სიტუაციის მიხედვით ყიდის და ყიდულობს სახელმწიფო ობლიგაციებს. ასევე ფულადი მასის მოკლევადიანი რეგულირებისათვის ყიდის ან ყიდულობს მოკლევადიან ქაღალდებს სახაზინო თამასუქების სახით და სხვა.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი ხელს უწყობს დამატებითი კაპიტალის მიღებას. ეს ძირითადად ხორციელდება, როგორც უკვე ზემოთ ავღნიშნეთ, საბაზრო ეკონომიკის განვითარებულ ქვეყნებში. ობლიგაციების და აქციების გამოშვებას და რეგისტრაციას სჭირდება როგორც წესი, დაახლოებით 2 კვირა, გამოშვების პროექტის პუბლიკაციას და მათ განხილვას 2-4 კვირა და საბოლოოდ მათ გამოშვებას 1,5-2 თვე, რაც მოითხოვს შესაბამისი კაპიტალის მობილიზაციას. ფასიანი ქაღალდების ბაზარი მრავალი თვალსაზრისით ეკონომიკური ზრდის დაფინანსების საუკეთესო და ყველაზე ხელმისაწვდომი წყაროა.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ნებისმიერ ეკონომიკაში, საბაზრო იქნება თუ დირექტიული, ხელს უწყობს დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების ჩართვას წარმოების, თუ საინვესტიციო საქმიანობის განსახორციელებლად. ასევე ხელს უწყობს ფულადი სახსრების სიჭარბის ან დეფიციტის აღმოფხვრას მიკროეკონომიკის სამ სექტორში:

- მეურნეობებში (საწარმოები და ორგანიზაციები);
- სახელმწიფოში (ბიუჯეტი და საბიუჯეტო ფონდები);
- მოსახლეობაში.

ერთ პოლუსზე ფულადი რესურსების არსებობა და მეორეს მხრივ მასზე მოთხოვნა განაპირობებს გადამანაწილებელი მექანიზმის წარმოების აუცილებლობას.

დირექტიულ ეკონომიკაში ასეთ გადამანაწილებელ ფუნქციას ასრულებდა სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლის მეშვეობით ხორციელდებოდა წარმოების გრძელვადიანი მოთხოვნისა და არასაწარმოო დანახარჯების დაფინანსების

დიდი ნაწილი. დაკრედიტება ხორციელდებოდა სპეციალიზებული სახელმწიფო საბანკო სისტემით, რომელიც ვერ ატარებდა საბოლოო კომერციულ პასუხისმგებლობას თავის მოქმედებაზე და დამოკიდებული იყო მთავრობაზე. სესხები წარმოდგენილი იყო ცენტრალიზებული საკრედიტო გეგმით, გამოყოფილი ლიმიტის ფარგლებში, ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა შეზღუდული იყო მოსახლეობას შორის სახელმწიფო სასესხო ვალდებულებების გავრცელებით (სასესხო ობლიგაციებით).

საბაზრო ეკონომიკის პირობებში იქმნება ფულადი დანაზოგების პრინციპულად ახალი მექანიზმი ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახით. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირება ქმნის კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების მექანიზმს მეურნეობრიობის უფრო მეტად ეფექტურ დარგებში.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ეფექტიანად ფუნქციონირებაში ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათში მომუშავე პროფესიონალებს, სწორედ მათ ეფექტიან და პროფესიულ მუშაობაზეა დამოკიდებული ბაზრის ეფექტიანად წარმართვა. საინვესტიციო ფონდების შექმნა და მართვა საბროკერო ფირმების საქმიანობის სფეროა, ასევე ისინი უწყვენ საშუაშაფლო მომსახურებად საბანკო კრედიტის და გარიგებების დარღვევის სფეროში.

თანამედროვე პირობებში ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები, რომლებიც ერთდროულად წარმოადგენენ ემიტენტებსაც (სახელმწიფო, საწარმო დაწესებულება, ორგანიზაცია, რომელიც უშვებს მიმოქცევაში ფულად ნიშნებს, ფასიანი ქაღალდებს, საგადამხდელო საანგარიშებო დოკუმენტებს) და ტრეიდერებსაც (საბროკერო ფირმის წარმომადგენელი სავაჭრო დარბაზში, რომელიც იღებს შეკვეთებს ყიდვა-გაყიდვაზე).

ფასიანი ქაღალდების ბაზრის როლი ეკონომიკის განვითარებაში თანამედროვე პირობებში სულ უფრო ფართოვდება, რაც იმაში გამოიხატება, რომ სწორედ პირველ ბაზარზე ხდება საინვესტიციო პროექტის დამუშავება და შემდგომ მისი განხორციელება.

ამრიგად, ფასიანი ქაღალდების ეფექტიან მართვაზე და მასში დასაქმებულ სპეციალისტებზე დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. სწორედ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ქმედითუნარიანობაზეა დამოკიდებული ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის უსწრაფესი განვითარება. ფასიანი ქაღალდების ბაზრების განვითარება ხელს უწყობს საინვესტიციო ფონდების შექმნას და განვითარე-

ბანკები, აღრიცხვა და აუდიტი

ბას. ინვესტორები აბანდებენ თავიანთ ფასიან ქაღალდებს იმ ფონდში, რომელიც ემიტირებულია აქციონერული საზოგადოების მიერ. საინვესტიციო ფონდების აქციები ხასიათდება მაღალი საიმედოობით და იძლევა გარანტირებულ სტაბილურ შემოსავალს. დღეს, როცა ჩვე-

ნი ეკონომიკა საბაზრო მეურნეობის პირობებში იმყოფება, საჭიროა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების მაგალითის საფუძველზე განვითაროთ ფასიანი ქაღალდების ბაზარი და მათი გამოცდილების გაზიარებით მივაღწიოთ მყარ პოზიციებს ეკონომიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Современные Денги и Банковское Дело; Роджер Лерой Миллер; Дэвид Д.Ван-Хуз. 2000
2. Операции Коммерческих Банков с Ценными Бумагами. И. А. Ефремов. Москва
3. Мишарев А.А. Рынок ценных бумаг: учебное пособие/А.А. Мишарев. - М.: Питер, 2007
4. Горловская И.Г. Услуги на рынке ценных бумаг как вид финансовых услуг/ Горловская И.Г. Финансы и кредит.2009.

SECURITIES MARKET ROLE IN A DEVELOPMENT OF THE COUNTRY

NANA KOTETISHVILI

PhD student GTU

So the economical development of the country depends greatly on the effective management of the valuable securities and the specialists engaged in that. It is the effectiveness of the valuable securities market that the fastest development of the economy of any country depends that much. The development of the valuable securities market contributes to the creation of the investment funds and their development. Investors make investments of their securities to the fund that is emitted by the joint-stock company. Investment funds' shares are characterized by the high reliability and brings the guaranteed stable income. Nowadays, when our economy is in the state of the market economy, it is necessary to develop the valuable securities market on the example of the other countries already having the market economy and reach the stable positions in the economy by sharing their experiences.

РОЛЬ РЫНКА ЦЕННЫХ БУМАГ В ЭКОНОМИЧЕСКОМ РАЗВИТИИ СТРАНЫ

НАНА КОТЕТИШВИЛИ

Докторант ГТУ

И так, на управление ценными бумагами и занятых в нем специалистов значительно зависит экономическое развитие страны. Именно от дееспособности рынка ценных бумаг зависит скорейшее развитие экономики той или иной страны. Развитие рынков ценных бумаг способствует созданию и развитию инвестиционных фондов. Инвесторы вкладывают свои ценные бумаги в том фонде, который эмитирован акционерным обществом. Акции инвестиционных фондов характеризуются высокой надежностью и дают гарантированный стабильный доход. Сегодня, когда наша экономика находится в условиях рыночного хозяйства, нужно, на основании примера стран рыночной экономики, развить рынок ценных бумаг и разделив их опыт, достичь крепких позиций в экономике.